დამტკიცებულია:
სსიპ - კასპის კოლეჯის დირექტორის
2021 წლის 19 თებერვლის №26 ბრძანებით

სსიპ კასპის კოლეჯში სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს წესი არეგულირებს სსიპ კასპის კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) შენობასა და ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესსა და პირობებს.

1.2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას კოლეჯში უზრუნველყოფენ კოლეჯის დამლაგებლები და მეეზოვე.

2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა

2.1. დამლაგებლები კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით უზრუნველყოფენ:

2.1.1. კოლეჯის შენობაში სასწავლო ოთახების, სახელოსნოების, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახების, სასადილოს, მშრალი და სველი წესით დალაგებას ყოველდღიურად;

2.1.2. კოლეჯში არსებული სველი წერტილების სპეციალური ქიმიური საშუალებებით ზედმიწევნით დასუფთავებას, საპირფარეშოებში ტუალეტის ქაღალდების, ხელსახოცებისა და საპნის დროულ განთავსებას, დღეში ორჯერ.

2.1.3. კოლეჯის ტერიტორიიდან ნაგვის გატანას და სანაგვე ურნების გასუფთავებას ყოველდღიურად.

2.1.4. კოლეჯის შენობის კიბეების, ვესტიბულისა და დერეფნის სველი წესით დალაგებას ყოველდღიურად.

2.1.5. სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციას დადგენილი გრაფიკის შესაბამისად;

2.2. მეეზოვე კოლეჯის ეზოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით უზრუნველყოფს:

2.2.1. კოლეჯის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის დალაგებას ყოველდღიურად;

2.2.2. კოლეჯის ეზოდან ნაგვის გატანასა და სანაგვე ურნების გასუფთავებას.

3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი

კოლეჯის დამლაგებლების მიერ კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლს ახორციელებს კოლეჯის მატერიალური რესურსების მენეჯერი.